

დისციპლინური ინსპექტორის ინსტიტუტი პოსტსაბჭოთა ქვეყნების მოსამართლეთა დისციპლინურ სამართალწარმოებაში

(მოლდოვას რესპუბლიკა)¹

მუხლი 7. საკვალიფიკაციო და სადისციპლინო კოლეგიები და სასამართლო ინსპექცია²

- (1) მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოში³ ფუნქციონირებენ საკვალიფიკაციო და სადისციპლინო კოლეგიები და სასამართლო ინსპექცია.
- (2) საკვალიფიკაციო და სადისციპლინო კოლეგიების ორგანიზება, კომპეტენცია და ფუნქციონირების წესი დადგენილია კანონით.
- (3) სასამართლო ინსპექციის ორგანიზება, კომპეტენცია და ფუნქციონირების წესი დადგენილია ამ კანონით⁴ და მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს დებულებით.⁵

(მე-7 მუხლში ცვლილება შესულია 2007 წლის 26 ივლისის კანონით, N 185-XVI, ძალაშია 01.01.2008)

მუხლი 7¹. სასამართლო ინსპექცია

- (1) სასამართლო ინსპექცია შედგება 5 სასამართლო ინსპექტორისაგან.
- (2) სასამართლო ინსპექტორის უფლებამოსილების ვადა შეადგენს 4 წელს. სასამართლო ინსპექტორი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს არაუმეტეს ზედიზედ 2 ვადისა, ზღვრული ასაკის - 65 წლის მიღწევამდე.
- (3) სასამართლო ინსპექტორის თანამდებობაზე კონკურსის წესით ირჩევენ პირს, რომელსაც აქვს იურიდიული განათლების დიპლომი, იურიდიული სპეციალობით მუშაობის 10 წლის სტაჟი და სარეგბლობს კარგი რეპუტაციით. არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელიც მოაგროვებს მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს იმ წევრების ხმათა ნახევარზე მეტს, რომლებიც მონაწილეობენ საბჭოს სხდომაზე.
- (4) სასამართლო ინსპექციას ხელმძღვანელობს მთავარი სასამართლო ინსპექტორი, რომელსაც ნიშნავს მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო სასამართლო ინსპექტორების რიცხვიდან მთელი მათი

¹ შეადგინა და თარგმნა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრმა ქეთევან ბექაურმა (არაოფიციალური თარგმანი);

² კანონი მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს შესახებ, მოლდოვას რესპუბლიკა, № 947 – XIII от 19.07.1996 წელი, ელ. მისამართი: <http://constitutions.ru/?p=5659>;

³ სასამართლო თვითმმართველობის ორგანო, მუხლი 1, "კანონი მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს შესახებ";

⁴ კანონი მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს შესახებ, მოლდოვას რესპუბლიკა;

⁵ ПОЛОЖЕНИЕ об организации, компетенции и порядке функционирования судебной инспекции, Утверждено Решением Высшего совета магистратуры № 89/4 от 29 января 2013 г.

<http://lex.justice.md/viewdoc.php?action=view&view=doc&id=348100&lang=2>;

უფლებამოსილების ვადით. მთავარი სასამართლო ინსპექტორი ექვემდებარება მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოს.

(5) სასამართლო ინსპექტორი თავისი მოვალეობების შესრულებისას სარგებლობს ხელშეუხებლობით, რაც გათვალისწინებულია "მოსამართლის სტატუსის შესახებ" კანონის მე-19 მუხლით.⁶

(6) სასამართლო ინსპექტორის კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) სასამართლო ინსპექციის ორგანიზაციული საქმიანობის შემოწმება მათ მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას;

ბ) მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოში შემოსული მოქალაქეთა საჩივრების განხილვა, რომლებიც ეხება სამოსამართლო ეთიკას;

გ) გენერალური პროკურორის შუამდგომლობის განხილვა მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს მიერ თანხმობის გაცემაზე, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ, ისეთი საპროცესო მოქმედებების განხორციელების შესახებ, რომლებზედაც კანონით სავალდებულოა საბჭოს თანხმობა, მათ შორის დაკავების, მოყვანის, ჩხრეკის და წინასწარი პატიმრობის შესახებ, აგრეთვე შუამდგომლობების განხილვა სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემის შესახებ თანხმობის გაცემაზე;

დ) მოსამართლის, სასამართლოს თავმჯდომარის ან თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე დასაწინაურებლად, მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს მიერ წარდგენილ კანდიდატურებზე მოლდოვას რესპუბლიკის პრეზიდენტის ან პარლამენტის მიერ უარის თქმის საფუძვლების განხილვა, მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოში სათანადო ცნობების წარდგენით.

(7) სასამართლო ინსპექციის საქმიანობის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო ბიუჯეტის შესახებ კანონის შესაბამისად.

დებულება "სასამართლო ინსპექციის ორგანიზების, კომპეტენციისა და ფუნქციონირების წესის შესახებ"⁷

I. ზოგადი დებულებები

1.1. სასამართლო ინსპექცია წარმოადგენს ორგანოს, რომელიც იქმნება მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოსთან ერთად, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლო ინსტანციების ორგანიზაციული საქმიანობის შემოწმებას მათ მიერ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში (საქმიანობის სპეციფიური სფეროს ანალიზის, მონიტორინგისა და კონტროლის უფლებამოსილება). აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებისას სასამართლო ინსპექცია მოქმედებს ოპერატიული დამოუკიდებლობის პრინციპით.

⁶ ЗАКОН РЕСПУБЛИКИ МОЛДОВА О статусе судьи, от 20 июля 1995 года №544-XIII,

http://base.spinform.ru/show_doc.fwx?rgn=3503#doc_ogl;

⁷ Утверждено Решением Высшего совета магистратуры № 89/4 от 29 января 2013 г.

[http://lex.justice.md/viewdoc.php?action=view&view=doc&id=348100&lang=2](http://lex.justice.md/viewdoc.php?action=view&view=doc&id=348100&lang=2;);

1.2. სასამართლო ინსპექციის ორგანიზების, კომპეტენციისა და ფუნქციონირების წესი რეგულირდება კანონებით: მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს შესახებ, სასამართლო წყობილების შესახებ, მოსამართლის სტატუსის შესახებ,⁸ ამ დებულებით და აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტებით.

1.3. სასამართლო ინსპექციის საქმიანობის მიზნები:

ა) სასამართლო ინსტანციების ორგანიზაციული შედეგების (მაჩვენებლების) გაუმჯობესება და პროცესუალური ნორმების ერთგვაროვანი (თანაბარი) გამოყენება, შემოწმების შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე შესაბამისი წინადადებების შემუშავება და სასამართლო სისტემის მართვაში მონაწილე დაწესებულებებისთვის ობიექტური მონაცემების მიწოდება;

ბ) მოსამართლეების მიერ საკუთარი პასუხისმგებლობის გაცნობიერების უზრუნველყოფა, იმ გარემოებათა შეფასებით, რომლებზეც ვრცელდება მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მოქმედება;

გ) ადეკვატური ზომების შეთავაზება იმ გარემოებათა შემოწმების საფუძველზე, სადაც მითითებულია პროფესიული რეპუტაციის შელახვის, მოსამართლის მიუკერძოებლობისა და მთლიანად სასამართლო დამოუკიდებლობის ხელყოფის შესახებ;

დ) სასამართლო სისტემაში სუსტი რგოლების გამოვლენა, სასამართლო ინსტანციების საქმიანობაში დისფუნქციის აღმოფხვრა და მოსალოდნელი რისკების პრევენცია.

II. სასამართლო ინსპექციის საქმიანობის პრინციპები

2.1. კანონიერების პრინციპი - სასამართლო ინსპექციის საქმიანობა ხორციელდება მხოლოდ კანონის შესაბამისად.

2.2. მოსამართლეთა დამოუკიდებლობის დაცვის პრინციპი, აგრეთვე, ადრე განხილული საქმის განმეორებით განხილვის დაუშვებლობის პრინციპი - სასამართლო ინსპექციის მიერ მონიტორინგი ხორციელდება მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპების დაცვით, მხოლოდ კანონის წინაშე მორჩილების პრინციპით, აგრეთვე, ადრე განხილული საქმის ხელმეორედ განხილვის დაუშვებლობის პრინციპით. სასამართლო ინსპექციის მონიტორინგი არ ვრცელდება სასამართლოს გადაწყვეტილებებზე, რომლებიც გასაჩივრებულია კანონით დადგენილი წესით.

2.3. მიუკერძოებლობის პრინციპი - თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას სასამართლო ინსპექტორები ვალდებული არიან, იყვნენ ობიექტურები, მიუკერძოებლები და ნეიტრალურები, არ გამოიწვიონ ეჭვი მათ მიუკერძოებლობაში. ეს ნიშნავს იმას, რომ ყველა შესამოწმებელი პირის მიმართ გამოავლინონ ერთნაირი დამოკიდებულება ისე, რომ არ დაარღვიონ ობიექტურობის და მიუკერძოებლობის პრინციპები.

2.4. კონფიდენციალურობის პრინციპი - ინსპექცია თავის საქმიანობას და მონიტორინგს ახორციელებს პირადი მონაცემების დაცვის შესახებ ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულებების შესაბამისად. აქტები, დოკუმენტები და ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც შეეხება სასამართლო ინსპექციის წარმოებაში არსებულ საქმეს, არის კონფიდენციალური, იმ აქტების, დოკუმენტებისა და ინფორმაციის გარდა, რომლებიც კანონის თანახმად წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას.

⁸ მუხლი 24¹, სასამართლო ინსპექციაში მოსამართლეების მივლინების წესის შესახებ;

2.5. გამჭვირვალობის პრინციპი - შემოწმების მიზნები წერილობით სახით ეცნობება შესამოწმებელ პირებს, შემოწმების დაწყებამდე, ხოლო შემოწმების პროცესში შესამოწმებელ პირთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები. შემოწმების დამთავრების შემდეგ დადგენილი ფაქტები ეცნობება შესამოწმებელ პირებს.

III. სასამართლო ინსპექციის შემადგენლობა და იურიდიული სტატუსი

3.1. სასამართლო ინსპექციის შემადგენლობა:

- ა) სასამართლო ინსპექცია შედგება 5 სასამართლო ინსპექტორისგან;
- ბ) სასამართლო ინსპექციას ხელმძღვანელობს მთავარი სასამართლო ინსპექტორი, რომელსაც ნიშნავს მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო სასამართლო ინსპექტორების შემადგენლობიდან უფლებამოსილების მთელი ვადით;
- გ) მთავარი სასამართლო ინსპექტორი ექვემდებარება მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოს;
- დ) სასამართლო ინსპექტორები ინიშნებიან მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს მიერ კონკურსის წესით, რომელსაც აცხადებს საბჭო მის ჩატარებამდე 30 დღით ადრე;
- ე) მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო კონკურსის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას განათავსებს მოლდოვას რესპუბლიკის ოფიციალურ მონიტორზე და მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე.⁹

3.2. თავისი მოვალეობების განხორციელების პროცესში სასამართლო ინსპექტორი სარგებლობს ხელშეუხებლობით, რაც გათვალისწინებულია მოსამართლის სტატუსის შესახებ კანონის მე-19 მუხლით:

- სასამართლო ინსპექტორის პიროვნება ხელშეუხებელია;
- სასამართლო ინსპექტორის ხელშეუხებლობა ვრცელდება მის საცხოვრებელ სახლზე, სამუშაო კაბინეტზე, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობის საშუალებებზე, კორესპონდენციებზე, პირად ქონებასა და დოკუმენტებზე, რომლითაც ის სარგებლობს სამსახურებრივად;
- სასამართლო ინსპექტორს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში და გადაწყვეტილების გამოტანისას გამოთქმული მოსაზრებებისათვის თუ მისი ბრალეულობა, რაც გამოიხატება უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, არ დადასტურდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით;
- სისხლისსამართლებრივი დევნა სასამართლო ინსპექტორის მიმართ შეიძლება დაიწყოს მხოლოდ გენერალური პროკურორის მიერ მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს თანხმობით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესით. სასამართლო ინსპექტორის მიერ მოლდოვას რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 324-ე და 326-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სისხლის სამართლებრივი დევნის დასაწყებად, მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს თანხმობა არ არის საჭირო;

⁹ (www.csm.md);

- სასამართლო ინსპექტორი არ შეიძლება დააკავონ, მოიყვანონ, დააპატიმრონ, გაჩხრიკონ მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს თანხმობის გარეშე. მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს თანხმობა არ არის საჭირო სასამართლო ინსპექტორის მიერ მოლდოვას რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 324-ე და 326-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.

3.3. სასამართლო ინსპექტორის თანამდებობაზე კანდიდატთა დასახელების პირობები:

სასამართლო ინსპექტორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას პირი, რომელსაც აქვს დიპლომი სამართლის დარგში, ან მისი ეკვივალენტური განათლება, აქვს იურიდიული სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 7 წლის სტაჟი და სარგებლობს უმწიკვლო რეპუტაციით მოსამართლის სტატუსის შესახებ კანონის მე-6 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად.¹⁰

3.4. სასამართლო ინსპექტორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნენ პირები მოსამართლეთა რიცხვიდან, ყოფილი ან პენსიაზე გასული პროკურორები, ადვოკატები და სამართლის დარგის შტატიანი პროფესორები.

3.5. მოქმედი მოსამართლეები, რომლებიც აირჩევიან სასამართლო ინსპექტორის თანამდებობაზე თავისუფლდებიან დაკავებული თანამდებობიდან, თანახმად მოსამართლის სტატუსის შესახებ და მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს შესახებ კანონის მოთხოვნისა.

3.6. სასამართლო ინსპექტორის თანამდებობაზე კანდიდატმა, რომელიც აკმაყოფილებს მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს შესახებ კანონის 71-ე მუხლით გათვალისწინებულ პირობებს, განაცხადი კონკურსში მონაწილეობის თაობაზე უნდა შეიტანოს მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოში, შემდეგი დოკუმენტების დართვით:

- ა) პირადობის მოწმობის ასლი;
- ბ) ავტობიოგრაფია (მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს მიერ გაცემული ფორმა);
- გ) პირადი ანკეტა (მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს მიერ გაცემული ფორმა);
- დ) დიპლომის ასლი;
- ე) ნასამართლობის ცნობა;
- ვ) შრომის წიგნაკის ამონაწერი;
- ზ) სამედიცინო ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს მიერ გაცემული ფორმა);
- თ) დეკლარაცია შემოსავლებისა და ქონების შესახებ (მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს მიერ გაცემული ფორმა);
- ი) დახასიათება სამსახურიდან ან უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან.

დასახელებული დოკუმენტები წარედგინება მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოს.

3.7. სასამართლო ინსპექტორის თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ იქნას პირი, რომელიც:

¹⁰ № 544-ХІІІ от 20 июля 1995 წელი;

- ა) არის ნასამართლევი ან აქვს გაქარწყლებული ნასამართლობა, ანდა გათავისუფლებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ამნისტიის აქტის ან შეწყალების საფუძველზე;
- ბ) დათხოვილია შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებიდან მაკომპრომიტერებელი საფუძველებით ან იმავე საფუძველებით გადაყენებულია თანამდებობიდან;
- გ) მათი ქცევა და მათი საქმიანობა შეუთავსებელია მოსამართლის ეთიკის კოდექსთან.

3.8. შეზღუდვები, რომლებიც დაკავშირებულია მოვალეობის შესრულებასთან:

სასამართლო ინსპექტორს არ აქვს უფლება:

- ა) დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო ან კერძო თანამდებობა, გარდა პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისა;
- ბ) იყოს პარლამენტის დეპუტატი ან ადგილობრივი საჯარო მმართველობის ორგანოს მრჩეველი;
- გ) იყოს რომელიმე პარტიის წევრი ან ეწეოდეს პოლიტიკურ საქმიანობას;
- დ) ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას;
- ე) გასცეს წერილობითი ან ზეპირი კონსულტაციები სადავო საკითხებზე.

3.9. დასაშვებია სასამართლო ინსპექტორების თანამშრომლობა ლიტერატურული, სამეცნიერო ან საზოგადოებრივი ხასიათის გამომცემლობებთან, ან მონაწილეობა რადიოსა და ტელევიზიაში, მაგრამ ამასთან ერთად დაუშვებელია კვლევებში, სტატიებში და საჯარო გამოსვლებში საკუთარი აზრის გამოთქმა საშინაო პოლიტიკის საჭიროებოტო საკითხებზე.

3.10. სასამართლო ინსპექტორს არ აქვს უფლება მიაწოდოს მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოს ინფორმაცია სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებით, იმ პირის გარეშე, რომელიც პასუხისმგებელია მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოსთან ურთიერთობაზე;

3.11. სასამართლო ინსპექტორი, რომელიც არჩეულია მოლდოვას რეპუბლიკის პრეზიდენტის, პარლამენტის, ადგილობრივი საჯარო მმართველობის ორგანოს მრჩეველის მიერ ან დანიშნულია მთავრობის წევრის მიერ, მანდატის მიღებიდან 30 დღის ვადაში ვალდებულია შეიტანოს განცხადება გადადგომის შესახებ, თანახმად მოსამართლის სტატუსის შესახებ კანონის 26-ე მუხლისა;

3.12. თუ სასამართლო ინსპექტორი არ შეიტანს განცხადებას გადადგომის შესახებ, ის კანონიერად ჩაითვლება განთავისუფლებულად მოცემული თანამდებობიდან 30-დღიანი ვადის გასვლისთანავე;

3.13. სასამართლო ინსპექტორის არჩევისა და დანიშვნის პროცედურა:

განცხადების რეგისტრაციის შემდეგ, კანდიდატმა უნდა წარადგინოს განცხადება შემოწმების ჩატარების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე, რაც გათვალისწინებულია 2008 წლის 18 დეკემბრის №271 კანონით "იმ პირებისა და კანდიდატების შემოწმების შესახებ, რომლებიც იკავებენ სახელმწიფო თანამდებობას".

3.14. სასამართლო ინსპექტორის თანამდებობაზე შესარჩევი კონკურსი ტარდება მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს შენობაში.

3.15. სასამართლო ინსპექტორის თანამდებობაზე არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელიც მოაგროვებს მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს წევრთა ხმების ნახევარზე მეტს.

3.16. სასამართლო ინსპექტორის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი და ეს ვადა აითვლება მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დღიდან.

3.17. სასამართლო ინსპექტორს უფლება აქვს თავისი უფლებამოსილება ზედიზედ განახორციელოს არაუმეტეს 2 ვადისა.

3.18. სასამართლო ინსპექტორს უფლება აქვს:

- ისარგებლოს მოლდოვას რესპუბლიკის კონსტიტუციითა და კანონმდებლობით დადგენილი უფლებებითა და თავისუფლებებით;
- მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ისარგებლოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საპროცესო უფლებებით;
- უფასოდ მიიღოს მუდმივი გადამზადება კანონით დადგენილი ფარგლებში;
- მონაწილეობა მიიღოს სპეციალობის მიხედვით კვლევებსა და მასალების დამუშავებაში, მხატვრულ და სამეცნიერო მუშაობაში, გარდა პოლიტიკური ხასიათის საქმიანობისა;
- იყოს საგამოცდო კომისიის ან ნორმატიული აქტების, ეროვნული და საერთაშორისო დოკუმენტების შემმუშავებელი კომისიის წევრი;
- იყოს სამეცნიერო და აკადემიური საზოგადოების, აგრეთვე, ასოციაციებისა და ფონდების წევრი, რომელთაც აქვთ სამეცნიერო და პროფესიული მიზნები.

3.19. სასამართლო ინსპექტორების მოთხოვნები და განკარგულებები, რაც დაკავშირებულია მათი საქმიანობის განხორციელებასთან, სავალდებულოა შესასრულებლად ყველა ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის.

3.20. სასამართლო ინსპექტორი ვალდებულია:

- იყოს მიუკერძოებელი;
- უზრუნველყოს პირის უფლებები და თავისუფლებები, მათი პატივი და ღირსება;
- მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ზედმიწევნით დაიცვას კანონის მოთხოვნა და უზრუნველყოს კანონმდებლობის ერთგვაროვანი განმარტება და გამოყენება;
- თავი შეიკავოს ისეთი ქმედებებისაგან, რომლებიც ზიანს აყენებს სამსახურებრივ ინტერესებს და ძირს უთხრის მართლმსაჯულების ავტორიტეტს, ლახავს მოსამართლის პატივსა და ღირსებას, ეჭვქვეშ აყენებს მოსამართლის ობიექტურობას;
- დაიცვას მოსამართლის კოდექსის დებულებები;
- არ გაამჟღავნოს ინფორმაცია, რაც მისთვის ცნობილი გახდა თავისი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას;
- დაიცვას მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი მუშაობის რეჟიმი და წესი;
- წარადგინოს დეკლარაცია შემოსავლებისა და ქონების შესახებ;
- წარადგინოს დეკლარაცია პირადი ინტერესების შესახებ;

- დაუყონებლივ მიაწოდოს ინფორმაცია მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებს ნებისმიერი ზეწოლის მცდელობის შესახებ, მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების პროცესში.

3.21. სასამართლო ინსპექტორების მიერ საკუთარი მოვალეობების შეუსრულებლობა იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას თუ არ არსებობს სისხლის სამართლის ან სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნიშნები;

3.22. სასამართლო ინსპექტორი თავისუფლდება თანამდებობიდან შემდეგ შემთხვევებში:

- ა) გადადგომის შესახებ განცხადების შეტანისას;
- ბ) კანონის შესაბამისად სხვა თანამდებობაზე გადაყვანისას;
- გ) რაიმე სახის დისციპლინური გადაცდომის ჩადენისას;
- დ) ამ დებულების 3.8 პუნქტის მოთხოვნის დაუცველობისას;
- ე) სამედიცინო ცნობის საფუძველზე შრომისუნაროდ აღიარებისას;
- ვ) გარდაცვალების შემთხვევაში;
- ზ) სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე ან ქმედუნარო პირად აღიარებისას.

3.23. გადაწყვეტილებას სასამართლო ინსპექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ იღებს მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო.

3.24. მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო ამ დებულების 3.22 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში აცხადებს ვაკანტური თანამდებობის არსებობის შესახებ.

3.25. სასამართლო ინსპექტორზე გაიცემა მოწმობა, მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს მიერ შემუშავებული ნიმუშის მიხედვით, რომელიც ითვლება პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტად რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე.

IV. სასამართლო ინსპექტორების დისციპლინური პასუხისმგებლობა

4.1. სასამართლო ინსპექტორებს კანონის თანახმად ეკისრებათ სამოქალაქო, დისციპლინური და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

4.2. დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს:

- ა) მოსამართლის საქმიანობაში ჩარევა ან ნებისმიერი სახის ზემოქმედება ზოგიერთი განცხადების გადაწყვეტის მიზნით, გადაბირება ან დათანხმება პირადი ინტერესების ან საკუთარი ოჯახის ინტერესების დაკმაყოფილებაზე მოქმედი კანონების დებულებათა გვერდის ავლით;
- ბ) პოლიტიკური ხასიათის საჯარო მოქმედებები;
- გ) წარმოებაში არსებული საჩივრების განხილვის ვადების დარღვევა არასაპატიო მიზეზით ან კანონმდებლობის იმპერატიული ნორმების დარღვევა;

- დ) შემოსავლებისა და ქონებრივი დეკლარაციისა და პირადი ინტერესების შესახებ დეკლარაციის სავალდებულო წარდგენის შესახებ კანონის დებულებათა დარღვევა;
- ე) სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებაზე დაუსაბუთებელი უარი;
- ვ) სამსახურის გაცდენა, დაგვიანება, სამსახურიდან ადრე წასვლა მოტივაციის გარეშე;
- ზ) უპატივცემულო დამოკიდებულება თავის კოლეგებთან სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების პროცესში.

4.3. კანონის შესაბამისად სასამართლო ინსპექტორს შეიძლება დაეკისროს შემდეგი სახის დისციპლინური სახდელი:

- ა) შენიშვნა;
- ბ) საყვედური;
- გ) მკაცრი საყვედური;
- დ) თანამდებობიდან გათავისუფლება.

4.4. დისციპლინურ გადაცდომასთან დაკავშირებით სასამართლო ინსპექტორისთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შემდეგ მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური სახდელის გამოყენების თაობაზე.

4.5. მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მოცემულ საქმეზე შეიძლება გასაჩივრდეს უმაღლეს სასამართლო პალატაში თანახმად მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს შესახებ კანონის 25-ე მუხლისა.

V. სასამართლო ინსპექციის კომპეტენცია და ფუნქციონირების წესი

5.1. სასამართლო ინსპექციის კომპეტენციას განეკუთვნება:

- ა) სასამართლო ინსპექციის ორგანიზაციული საქმიანობის შემოწმება მათ მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას;
- ბ) მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოში შემოსული მოქალაქეთა საჩივრების განხილვა, რომლებიც ეხება სამოსამართლო ეთიკას, საჩივარში დასახელებული მოსამართლისათვის წერილობითი ახსნა-განმარტების სავალდებულო წესით ჩამორთმევა;
- გ) შუამდგომლობის განხილვა, რომლის საგანია მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს მიერ თანხმობის გაცემა მოსამართლის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე;
- დ) მოსამართლის, სასამართლოს თავმჯდომარის ან თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე დასაწინაურებლად, მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს მიერ წარდგენილ კანდიდატურებზე მოლდოვას რესპუბლიკის პრეზიდენტის ან პარლამენტის მიერ უარის თქმის საფუძვლების განხილვა, მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოში სათანადო ცნობების წარდგენით;
- ე) მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების აღსრულების შემოწმება.

5.2. უფლებამოსილების განხორციელებისას, რაც გათვალისწინებულია მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს შესახებ კანონის 71-ე მუხლით, სასამართლო ინსპექციას არ აქვს უფლება ჩაერიოს საქმის

განხილვის პროცესში, გამოთქვას თავისი მოსაზრება ან ეჭვქვეშ დააყენოს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძვლიანობა, გადასინჯოს ან განახორციელოს რაიმე სახის პროცედურები სამოქალაქო, სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ საქმეებზე, ამასთან, ვალდებულია დაიცვას იმ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპი, რომელთაც გამოიყენეს კანონები და პროცედურები, ასევე, დაიცვას ადრე განხილული საქმის ხელმეორედ განხილვის დაუშვებლობის პრინციპი;

5.3. სასამართლო ინსპექცია ახორციელებს ერთჯერად მონიტორინგს (კონკრეტული საქმის განხილვის ან საქმიანობის განსაზღვრული სფეროს შემოწმების მიზნით), რომელიც შეიძლება იყოს გეგმიური ან მოულოდნელი.

VI. საჩივრების განხილვა

6.1. მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს სახელზე შეტანილი მოქალაქეთა საჩივრები, რომლებიც შეეხება სამოსამართლო ეთიკის საკითხებს, განხილვა საჩივრის შეტანის შესახებ კანონის დებულებათა შესაბამისად.

6.2. საჩივრებს განიხილავენ მთავარი სასამართლო ინსპექტორის მიერ დანიშნული სასამართლო ინსპექტორები.

6.3. სასამართლო ინსპექტორი საჩივრის მიღების შესახებ აცნობებს მოსამართლეს და განუმარტავს მას წერილობითი განმარტების წარდგენის ვალდებულების შესახებ.

6.4. საჭიროების შემთხვევაში სასამართლო ინსპექტორი შეისწავლის კონკრეტული საქმის მასალებს, გამოითხოვს ზემდგომი ინსტანციის გადაწყვეტილების, დადგენილების ასლებს, გამოითხოვს მოცემულ საქმეზე აუცილებელ ინფორმაციას სასამართლოს კანცელარიიდან.

6.5. სამოსამართლო ეთიკის დარღვევის შემთხვევაში, სასამართლო ინსპექტორი ადგენს საინფორმაციო ჩანაწერებს.

6.6. სასამართლო ინსპექტორი საჩივრის განხილვის შედეგების შესახებ წერილობით ინფორმაციას, რომელსაც ხელს აწერს მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს წევრი, აგზავნის საჩივრის შეტანის შესახებ კანონით დადგენილ ვადაში.

6.7. საინფორმაციო ჩანაწერები, ანგარიშები, მიმართვები, რომლებიც გადაეცემათ კომპეტენტურ ორგანოებს, გადაწყვეტილების პროექტები, სხვა მასალები, შედგენილი უნდა იქნას მოკლედ, ნათლად და არგუმენტირებულად, ზუსტად და სრულად უნდა იქნას დადგენილი საქმის გარემოებები შესასწავლი ობიექტის გარშემო, უნდა დადგინდეს საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს სასამართლო ინსტანციის ან მოსამართლის საქმიანობის გაუმჯობესებაზე, მოემსახუროს ხარვეზების ანალიზის გაკეთებას, დარღვევების აღმოფხვრის შესახებ რეკომენდაციებს და საქმეების მდგომარეობის გაუმჯობესებას.

VII. შუამდგომლობების განხილვა

7.1. შუამდგომლობა, რომლის საგანს წარმოადგენს მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს მიერ თანხმობის გაცემა მოსამართლის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ, გადაეცემა მთავარ სასამართლო ინსპექტორს, რომელიც შესასრულებლად გადასცემს სასამართლო ინსპექტორს.

7.2. სასამართლო ინსპექტორი, შუამდგომლობის შესასრულებლად მიღების დღიდან 15 დღის ვადაში ამოწმებს შუამდგომლობაში მითითებულ გარემოებებს, ჩამოართმევს ახსნა-განმარტებას მოსამართლეს, ვისაც ეხება შუამდგომლობა და ადგენს საინფორმაციო ჩანაწერებს, რომლებიც განსახილველად გადაეცემა მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოს.

VIII. შეტყობინებების განხილვა

8.1. შეტყობინება მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს მიერ წარდგენილი კანდიდატურების მოსამართლის, სასამართლოს თავმჯდომარის ან თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ, მოლდოვას რესპუბლიკის პრეზიდენტის ან პარლამენტის მიერ უარის თქმის თაობაზე, ეცნობება შესაბამის მოსამართლეს, რომელმაც უნდა წარადგინოს შეტყობინებაში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით განმარტება.

8.2. შეტყობინება გადაეცემა მთავარ სასამართლო ინსპექტორს, რომელიც შეტყობინების შესასრულებლად ნიშნავს სასამართლო ინსპექტორს.

8.3. სასამართლო ინსპექტორი შესასრულებლად მიღების დღიდან 15 დღის ვადაში ამოწმებს შუამდგომლობაში მითითებულ გარემოებებს და ადგენს საინფორმაციო ჩანაწერს, რომელიც სამდივნოს უფროსის მეშვეობით განსახილველად გადაეცემა მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოს.

IX. სასამართლო ინსტანციების ორგანიზაციული საქმიანობის შემოწმება

9.1. სასამართლო ინსტანციების ორგანიზაციული საქმიანობის შემოწმების წესი და პროცედურა და მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების შესრულების შემოწმება ხორციელდება მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს შესახებ კანონის 72-ე მუხლის, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში სასამართლო ინსტანციების ორგანიზაციული საქმიანობის შემოწმების მოცულობის, მეთოდების, საფუძვლების და პროცედურების შესახებ დებულების შესაბამისად, ამ დებულების და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

X. სასამართლო ინსპექციის საქმიანობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

10.1. სასამართლო ინსპექციის საქმიანობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხორციელდება მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს მიერ საბჭოს სამდივნოს მეშვეობით, ბიუჯეტის შესახებ კანონის შესაბამისად.

10.2. სასამართლო ინსპექტორების მუშაობის რეჟიმი დგინდება შრომითი კოდექსის დებულებათა, შინაგანაწესის შესახებ დებულების, მოცემულ სფეროში მოქმედი სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

XI. შრომის ანაზღაურება

11.1. სასამართლო ინსპექტორების შრომის ანაზღაურება განისაზღვრება სააპელაციო პალატის მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების ოდენობით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

XII. დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

12.1. სასამართლო ინსპექცია ყოველწლიურად წარუდგენს ანგარიშს მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოს განხორციელებული საქმიანობის შესახებ, რომელიც შემდგომში ქვეყნდება მის ვებ-გვერდზე.

12.2. წინამდებარე დებულება ქვეყნდება მოლდოვას რესპუბლიკის ოფიციალურ მონიტორში და მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოს ვებ-გვერდზე.

12.3. წინამდებარე დებულება ძალაში შედის მოლდოვას რესპუბლიკის ოფიციალურ მონიტორში მისი გამოქვეყნების დღიდან.

12.4. დებულება "სასამართლო ინსპექციის ორგანიზების, კომპეტენციისა და ფუნქციონირების წესის შესახებ" დამტკიცებული მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით № 32/13, გაუქმებულია.

მოლდოვის რესპუბლიკის კანონი

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ¹¹

თავი III დისციპლინური სამართალწარმოება

მუხლი 18. დისციპლინური სამართალწარმოების სტადიები

დისციპლინური სამართალწარმოება მოიცავს შემდეგ სტადიებს:

- ა) განცხადების შეტანა იმ მოქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს დისციპლინურ გადაცდომად;
- ბ) განცხადების გადამოწმება სასამართლო ინსპექციის მიერ;
- გ) განცხადების დასაშვებობის შემოწმება დასაშვებობის საკითხის შემსწავლელი კომიტეტის მიერ დისციპლინური სამართალწარმოების დასაწყებად;
- დ) დისციპლინური საქმეების განხილვა სადისციპლინო კოლეგიის მიერ;
- ე) დისციპლინურ საქმეებზე გადაწყვეტილების მიღება.

¹¹ ЗАКОН РЕСПУБЛИКИ МОЛДОВА, от 25 июля 2014 года №178 О дисциплинарной ответственности судей, http://base.spinform.ru/show_doc.fwx?rgn=70474;

სექცია 1

განცხადების შეტანა მოსამართლის იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს დისციპლინურ გადაცდომად

მუხლი 19. განცხადების შეტანა იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს დისციპლინურ გადაცდომად

1. განცხადება იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს დისციპლინურ გადაცდომად, შეიძლება წარდგენილ იქნას:

ა) ნებისმიერი დაინტერესებული პირის მიერ;

ბ) მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ;

გ) მოსამართლის საქმიანობის შემფასებელი კომიტეტის მიერ, როგორც ეს გათვალისწინებულია 2012 წლის 5 ივლისის #154-ე კანონის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტში. კანონი "მოსამართლეთა შერჩევის, საქმიანობის შეფასებისა და კარიერის თაობაზე".

დ) სასამართლო ინსპექციის მიერ საკუთარი ინიციატივით 1996 წლის 19 ივლისის "მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს შესახებ" #947-XIII კანონის 72-ე მუხლის შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ პირებს შეუძლიათ წარმოადგინონ განცხადებები იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა საკუთარი უფლებების ან ფუნქციების განხორციელებისას ან მედიაში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე.

3. თუ რამდენიმე განცხადება ერთიდაიგივე გადაცდომაზე და ერთიდაიგივე მოსამართლეზე მიუთითებს, ისინი უნდა გაერთიანდეს.

4. განცხადების გამოთხოვა არ გამორიცხავს დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებას და განხორციელებას.

მუხლი 20. მოთხოვნები, რომლებიც წარედგინება განცხადების ფორმას და შინაარსს

1. განცხადებები მოსამართლის ქმედებების თაობაზე, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს დისციპლინურ გადაცდომად უნდა შეიცავდეს:

ა) განცხადების ავტორის საიდენტიფიკაციო ინფორმაციას და საკონტაქტო მონაცემებს;

ბ) იმ მოსამართლის ვინაობას, რომელმაც ჩაიდინა ქმედება;

გ) ადგილსა და დროს, როდესაც ჩადენილ იქნა განცხადებაში მითითებული ქმედებები;

დ) იმ ქმედებების მოკლედ აღწერას, რომლებიც შეიძლება წარმოადგენდნენ დისციპლინურ გადაცდომას;

ე) მითითებას მტკიცებულებაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომელიც ადასტურებს სავარაუდო ქმედების ჩადენას, ან მითითებას იმ პირებზე, რომლებმაც შეიძლება დაადასტურონ განცხადებაში მოყვანილი ინფორმაცია თუ ეს ცნობილია განცხადების შეტანის დროს;

ვ) თარიღი და განცხადების ავტორის ხელმოწერა.

2. აშკარად დაუსაბუთებლად ჩაითვლება განცხადება, რომელიც არ ადასტურებს ამ კანონის მე-4 მუხლში მითითებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენას, ან რომლისთვისაც გასულია ხანდაზმულობის ვადა, მითითებული ამ კანონის მე-5 მუხლში, ან რომელიც წარდგენილია განმეორებით ახალი მტკიცებულების გარეშე.

სექცია 2

იმ განცხადებების გადამოწმება, რომლებიც მიუთითებენ ქმედებებზე, რომლებიც შესაძლოა წარმოადგენდნენ დისციპლინურ გადაცდომას

მუხლი 21. შესაძლო დისციპლინური გადაცდომის თაობაზე განცხადებების რეგისტრაცია და განაწილება

1. შესაძლო დისციპლინური გადაცდომის თაობაზე განცხადება შეტანილ უნდა იქნას მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს სამდივნოში. განცხადება დარეგისტრირდება და გადაეცემა მთავარ სასამართლო ინსპექტორს, მისი შეტანიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა.

2. მთავარი სასამართლო ინსპექტორი განცხადებებს გადასამოწმებლად გადაუნაწილებს სასამართლო ინსპექტორებს შემთხვევითი შერჩევის პრინციპის საფუძველზე. თუ სასამართლო ინსპექტორს, რომელსაც დაეწერა განცხადება არ შეუძლია მისი გადამოწმება მთავარი სასამართლო ინსპექტორი მოტივირებული გადაწყვეტილების მეშვეობით მას გადააწერს სხვა სასამართლო ინსპექტორს, რომელიც გააგრძელებს მის გადამოწმებას. საქმის მასალებს თან უნდა დაერთოს განცხადებების გადანაწილების შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილება და ის ნორმები, რომლებიც არეგულირებენ განცხადებების განაწილებას.

3. სასამართლო ინსპექციის სამსახური აწარმოებს ყველა საჩივრის სტატისტიკურ ანგარიშებს, ასევე, მათი შემოწმების შედეგების სტატისტიკურ ანგარიშებს, მათ შორის ელექტრონული ფორმით.

მუხლი 22. შესაძლო დისციპლინური გადაცდომის თაობაზე განცხადების დაბრუნება მისი ავტორისათვის

1. თუ განცხადება არ აკმაყოფილებს 22-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, სასამართლო ინსპექტორი განცხადების განაწილებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში უბრუნებს მას განცხადების ავტორს და მიუთითებს ხარვეზებზე და განუმარტავს განცხადების ხელმეორედ წარდგენის უფლებას.

2. სასამართლო ინსპექტორი, რომელმაც საჩივრის ავტორს უკან დაუბრუნა თავისი განცხადება დაბრუნების წერილის ასლს გადაუგზავნის მთავარ სასამართლო ინსპექტორს ინფორმაციისთვის და სტატისტიკური ანგარიშების საწარმოებლად.

მუხლი 23. განცხადების გადამოწმება

1. განცხადების გადამოწმება არის სტადია, რომლის დროსაც დგინდება მოსამართლის მიერ ნავარაუდევო ქმედებების ჩადენა და მათი შედეგები, ის გარემოებები, რომლებშიც ეს ქმედებები იქნენ

ჩადენილი, ასევე, ნებისმიერი სხვა რელევანტური ინფორმაცია, საიდანაც შესაძლებელია დადგინდეს დისციპლინური გადაცდომის ელემენტების არსებობა ან არარსებობა.

2. სასამართლო ინსპექტორი, რომელსაც დაეწერა განცხადება ვალდებულია:

ა) მიიღოს ყველა საჭირო ზომა განცხადების ავტორის მიერ მითითებული ქმედებების არსებობის გადასამოწმებლად და დაადგინოს დისციპლინური გადაცდომის ელემენტების არსებობა ან არარსებობა;

ბ) განცხადებაში აღნიშნულ მოსამართლეს მოსთხოვოს წერილობითი განმარტება მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით და ეს ინფორმაცია ამავედროულად აცნობოს სასამართლოს თავმჯდომარეს;

გ) შექმნას დისციპლინური საქმე, რომელიც მოიცავს განცხადებას სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე, ასევე, სხვა მასალებს და მტკიცებულებებს, რომელთა მოპოვება ხდება განცხადების გადამოწმების ეტაპზე.

3. განცხადების გადამოწმების პროცესში სასამართლო ინსპექტორი უფლებამოსილია:

ა) გადაიღოს შესაბამისი დოკუმენტების ასლები, მათ შორის იმ საქმის მასალის ასლები, რომლის განხილვის დროს ჩადენილ იქნა განცხადებაში მითითებული სავარაუდო დისციპლინური გადაცდომა;

ბ) გამოითხოვოს სხვა საჭირო ინფორმაცია იმ სასამართლოს თავმჯდომარისა და სხვა მოსამართლეებისაგან, სადაც მუშაობს განცხადებაში მითითებული მოსამართლე, ასევე, საჯარო დაწესებულებებისაგან, პასუხისმგებელი პირებისაგან და კერძო ინდივიდებისაგან;

გ) საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს ზეპირი ან წერილობითი განმარტებები განცხადების ავტორისაგან, ასევე, დამატებითი მტკიცებულებები განცხადებაში მითითებული სავარაუდო დისციპლინურ გადაცდომასთან დაკავშირებით;

დ) მიიღოს სხვა დამატებითი ზომები, რომლებსაც ჩათვლის საჭიროდ განცხადებაში მითითებული სავარაუდო გადაცდომის ელემენტების არსებობის ან არარსებობის დასადასტურებლად.

მუხლი 24. განცხადების გადამოწმების ვადა

1. განცხადების გადამოწმება უნდა დასრულდეს სასამართლო ინსპექციის მიერ განცხადების მიღებიდან 30 სამუშაო დღის განმავლობაში.

2. მთავარი სასამართლო ინსპექტორი უფლებამოსილია გააგრძელოს განცხადების გადამოწმების ვადა არაუმეტეს 15 კალენდარული დღით შესაბამისი გონივრული საფუძვლების არსებობისას და აცნობოს ამის შესახებ განცხადების ავტორს.

მუხლი 25. განცხადების შემოწმების სტადიაზე მასში მითითებული მოსამართლის უფლებები და ვალდებულებები

1. მოსამართლე უფლებამოსილია:

ა) იცოდეს განცხადების შინაარსი;

ბ) წარადგინოს წერილობითი და ზეპირი განმარტებები;

გ) წარადგინოს მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს განცხადებაში მითითებულ ან სხვა რელევანტურ ფაქტებს;

დ) იყოს წარდგენილი ადვოკატით ან მისი წარმომადგენლით.

2. მოსამართლე ვალდებულია:

ა) განცხადების გადამოწმების პროცესში არ შეუქმნას რაიმე სახის დაბრკოლება ინსპექტორს;

ბ) არ დაუკავშირდეს განცხადების ავტორს პერსონალურად ან წარმომადგენლის მეშვეობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ კომუნიკაციას ესწრება სასამართლო ინსპექტორი.

მუხლი 26. განცხადების გადამოწმების შედეგები

1. განცხადების გადამოწმების დასრულების შემდეგ სასამართლო ინსპექტორი მის საფუძველზე მოამზადებს ანგარიშს, რომელიც დისციპლინურ საქმის მასალებთან ერთად 3 სამუშაო დღის განმავლობაში წარედგინება სადისციპლინო კოლეგიის დასაშვებობის კომიტეტს განსახილველად.

2. სასამართლო ინსპექტორის მიერ მომზადებული დასკვნა შეიცავს განცხადების ავტორის მიერ მითითებული ფაქტების, ასევე, სასამართლო ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტების მოკლე აღწერას, განცხადების ავტორის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებას და სასამართლო ინსპექტორის მიერ ჩატარებული წინასწარი შემოწმების დროს მოპოვებულ მტკიცებულებებს.

3. განცხადების შემოწმების შედეგად სასამართლო ინსპექტორის მიერ შედგენილი დასკვნის ნიმუშს ამტკიცებს მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო.